ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის ბიუროს რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 **დეკემბრის** რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: დავით კიკნაძე

საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი დავით კიკნაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2022 წლის 28 დეკემბრის რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 27

დ. ხარაგაული

9 აპრილის ქ. #15 28 დეკემბერი 2022 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი დავით კიკნაძე

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

ამირან ოქრომჭედლიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ,

პაატა გოგოლაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ,

ბესიკი კვირიკაშვილი - საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

პავლე კიკალიშვილი საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,

შმაგი ხიჯაკაძე საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

მარინე ხვედელიძე საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე

ოთარი ლურსმანაშვილი- იურიდიული,სამანდატო,საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის

თავმჯდომარე.

მერიის წარმომადგენელი:

ვარლამ ჭიპაშვილი - მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე,

ვლადიმერ გელაშვილი- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფნანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი,

მედიის წარმომადგენლები:

მ. ბაბლიძე -მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი,
ს. ბაბლიძე ოპერატორი

საკრებულოს აპარატი:

ლ. კალანდაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზ. ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში

მ. შარიქაძე - საკრებულოს აპარატის შტატგარეშე მოსამსახურე,

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის დავით კიკნაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა.

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 **დეკემბრის** რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: დავით კიკნაძე

საკითხთა ნუსხა

1. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვარლამ ჭიპაშვილი

ვლადიმერ გელაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე 9

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა მიღებული იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს : ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ვ. ჭიპაშვილის ინფორმაცია საკითხზე - „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულ

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება საკითხის 2022 წლის 29 დეკემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე 9

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.საკითხი შეტანილ იქნეს 2022 წლის 29 დეკემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

2. საკითხის განხილვა დაევალა საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო და ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიებს .

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **დავით კიკნაძე**